საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №9

ქ.თბილისი **28.07.2015**

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

მაგდა მაღრაძე - ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი, სხდომის თავმჯდომარე;
ნინო დავლაშერიძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის წევრი, საბჭოს მდივანი;
თამარ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - კავშირ განათლების პოლიტიკის, მართვისა და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) მთავარი მკვლევარი;
თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
ნანა ცერცვაძე - ა(ა)იპ - საქართველოს ბიზნეს ასოციაციის სექტორული განვითარების ხელმძღვანელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
ქეთევან ინანაშვილი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;
თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

დავით ბოსტოღანაშვილი;
ნინო ჩიქოვანი;
ნინო ბალანჩივაძე;
რომეო გალდავა;
ვასილ კიკუტაძე;
მანანა ხაჩიძე;
ია ნაცვლიშვილი;

გიორგი ღაღანიძე;
კახაბერ თავზარაშვილი;
თეიმურაზ კოჩაძე;
კონსტანტინე სირბილაძე;
გოჩა თუთბერიძე;
მანანა მოისწრაფიშვილი;
ზურაბ ლომსაძე.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

სოლომონ პავლიაშვილი;
მაია ხურცილავა;
ანა ჭიღიტაშვილი;
ნინო ჭანკვეტაძე;
ნინო ჩახუნაშვილი.

სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ირმა შიოშვილი;
ნინო მოდებაძე;
დიანა მჭედლიშვილი;
თეა მჭედლური;
ნანა რინკიშვილი;
მაგდა დავითაშვილი.

შპს ინტერბიზნესის აკადემიის წარმომადგენლები:

ინგა მანაშერიძე;
ნაზი წიბლიაშვილი.

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

სერგო ტეფნაძე;
ქეთევან დავითაძე;
გიორგი ინასარიძე;
გელა ყიფიანი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" 26-ე

მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს თავმჯდომარის გამოუცხადებლობის გამო, სხდომას გაუძღვა დამსწრეთა უმრავლესობით განსაზღვრული საბჭოს წევრი, მაგდა მაღრაძე.

სხდომა დაიწყო 11:30 სთ-ზე. სხდომის თავმჯდომარემ წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ინტერბიზნესის აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ინტერბიზნესის აკადემიის ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ფრენის მართვის ავტომატიზებული სისტემების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ფრენის მართვის ავტომატიზებული სისტემების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (კომერციული პილოტი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ხომალდების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ხომალდების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ფრენების უზრუნველყოფის მიწისზედა რადიოტექნიკური საშუალებების ტექნიკური ექსპლუატაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
13. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საბუღალტრო აღრიცხვის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
14. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ფინანსური აღრიცხვისა და კონტროლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
15. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საფრენი აპარატების დაპროექტებისა და წარმობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
16. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საფრენი აპარატების დაპროექტების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

17. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

სხდომის მდივანმა შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დამსწრე საზოგადოებას, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა საგანმანთლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 24 ივლისის დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-13 და მე-14 საკითხები, რომელთა განხილვაც არ მოხდა აღნიშნულ სხდომაზე, განხილულ ყოფილიყო დღევანდელ საბჭოს სხდომაზე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შუამდგომლობის დაკმაყოფილების საკითხი. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგი შემდეგი სახით:

1. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის კრიმინალისტიკის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის კრიმინალისტიკის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის კრიმინალისტიკის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნქციათა თეორიისა და ფუნქციონალური ანალიზის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. შპს ინტერბიზნესის აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. შპს ინტერბიზნესის აკადემიის ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

10. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ფრენის მართვის ავტომატიზებული სისტემების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ფრენის მართვის ავტომატიზებული სისტემების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (კომერციული პილოტი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
13. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
14. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
15. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ხომალდების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
16. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ხომალდების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
17. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ფრენების უზრუნველყოფის მიწისზედა რადიოტექნიკური საშუალებების ტექნიკური ექსპლუატაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
18. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
19. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
20. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საბუღალტრო აღრიცხვის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
21. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ფინანსური აღრიცხვისა და კონტროლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
22. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საფრენი აპარატების დაპროექტებისა და წარმოების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
23. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საფრენი აპარატების დაპროექტების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
24. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის კრიმინალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი)
განათლების საფეხური:	პროფესიული განათლების მესამე საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	060451
კრედიტების რაოდენობა:	60

2. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის კრიმინალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი)
განათლების საფეხური:	პროფესიული განათლების მეოთხე საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	060451
კრედიტების რაოდენობა:	60

3. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის კრიმინალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი)
განათლების საფეხური:	პროფესიული განათლების მეხუთე საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	060451
კრედიტების რაოდენობა:	60

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის კრიმინალისტის მესამე საფეხურის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დავით ბოსტოღანაშვილმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა ხარვეზი, რომელიც ეხებოდა ლაბორატორიის აღჭურვას შესაბამისი ინვენტარით.

ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ, პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- სასურველია სასწავლო პრაქტიკას ჰქონდეს წინაპირობა და მისი განხორციელება იწყებოდეს მას შემდეგ, რაც პროფესიულ სტუდენტს ათვისებული ექნება პროგრამით გათვალისწინებული თეორიული კურსები;

- რეკომენდირებულია სასწავლო პრაქტიკის შეფასების მეთოდად ტესტის ნაცვლად გამოყენებულ იქნას პრაქტიკული უნარების გამოვლენაზე ორიენტირებული შეფასების მეთოდი/მეთოდები;

- სასურველია სასწავლო პრაქტიკის სილაბუსში სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა არ იქნას მითითებული, პრაქტიკისთვის განკუთვნილი დრო, რომელიც მხოლოდ საკონტაქტოა, მაქსიმალურად დაეთმოს პრაქტიკულ/სიმულაციურ აქტივობებს;

- რეკომენდირებულია ინგლისურის სილაბუსში დაზუსტდეს სწავლის შედეგებში სწავლის უნარში არსებული ჩანაწერი, კერძოდ, „ A-1/A2 დონის მასალის დაუფლების შედეგად სტუდენტს შეუძლის განაგრძოს ინგლისური ენის შემდეგი დონის შესწავლა.“ ;

- რეკომენდირებულია, რომ პრაქტიკის შეფასების კრტერიუმები უფრო მეტად იყოს ორიენტირებული პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის გავლის შედეგად გამომუშავებული პრაქტიკული უნარების შეფასებაზე.

სხდომის თავმჯდომარემ, მაგდა მაღრაძემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს წარედგინა საგანმანათლებლო პროგრამის მეოთხე საფეხურის დასკვნა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით ბოსტოღანაშვილმა წარმოადგინა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- სასურველია სასწავლო პრაქტიკას ჰქონდეს წინაპირობა და მისი განხორციელება იწყებოდეს მას შემდეგ, რაც პროფესიულ სტუდენტს ათვისებული ექნება პროგრამით გათვალისწინებული თეორიული კურსები;
- რეკომენდირებულია სასწავლო პრაქტიკის შეფასების მეთოდად ტესტის ნაცვლად გამოყენებულ იქნას პრაქტიკული უნარების გამოვლენაზე ორიენტირებული შეფასების მეთოდი/მეთოდები;
- სასურველია სასწავლო პრაქტიკის სილაბუსში სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა არ იქნას მითითებული, პრაქტიკისთვის განკუთვნილი დრო, რომელიც მხოლოდ საკონტაქტოა, მაქსიმალურად დაეთმოს პრაქტიკულ/სიმულაციურ აქტივობებს;
- რეკომენდირებულია, რომ პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმები უფრო მეტად იყოს ორიენტირებული პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის გავლის შედეგად გამომუშავებული პრაქტიკული უნარების შეფასებაზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით ბოსტოღანაშვილმა წარუდგინა საბჭოს საგანმანათლებლო პროგრამის მეხუთე საფეხურის დასკვნიდან რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია დაზუსტდეს სასწავლო პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობა, კერძოდ, სილაბუსში არსებული ჩანაწერიდან (კრიმინალისტიკური ტექნიკა, საგამოძიებო მოქმედებების ტაქტიკა, სისხლის სამართლის პროცესი, მე-3, მე-4 საფეხსურების სასწავლო და საწარმოო პრაქტიკები) ამოღებულ იქნას ბოლო წინადადება - „ მე-3 და მე-4 საფეხურების სასწავლო და საწარმოო პრაქტიკები“. მე-5 საფეხურზე დაშვების წინაპირობა არის მე-4 საფეხურის კვალიფიკაციის ფლობა, რაც თავისთავად გულისხმობს, როგორც მესამე ასევე მეოთხე საფეხურზე გავლილი პრაქტიკის წარმატებით ათვისებას;

- რეკომენდებულია სასწავლო პრაქტიკის შეფასების მეთოდად ტესტის ნაცვლად გამოყენებულ იქნას პრაქტიკული უნარების გამოვლენაზე ორიენტირებული შეფასების მეთოდი/მეთოდები;
- სასურველია სასწავლო პრაქტიკის სილაბუსში სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა არ იქნას მითითებული, პრაქტიკისთვის განკუთვნილი დრო, რომელიც მხოლოდ საკონტაქტოა, მაქსიმალურად დაეთმოს პრაქტიკულ/სიმულაციურ აქტივობებს;
- რეკომენდებულია, რომ პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმები უფრო მეტად იყოს ორიენტირებული პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის გავლის შედეგად გამომუშავებული პრაქტიკული უნარების შეფასებაზე.

მაგდა მაღრაძემ, სხდომის თავმჯდომარემ, საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.
ექსპერტთა მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, საბჭოს წინაშე საკუთარი მოსაზრება წარმოადგინა დაწესებულების წარმომადგენელმა. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ნაყოფიერი მუშაობის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციებისათვის. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თითოეული რეკომენდაციის საფუძვლიანი განხილვა მოხდა აღნიშნულ პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად. დაწესებულება იზიარებს რეკომენდაციებს და მათი ნაწილის გათვალისწინება უკვე მოხდა, ხოლო ნაწილის იგეგმება. დაწესებულების წარმომადგენელმა, სოლომონ პავლიაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამები სპონტანურად არ გაუკეთებიათ და კრიმინალისტიკის პროგრამა ამ სფეროში სტუდენტს გახდიდა კონკურენტუნარიანს. უნივერსიტეტს ჰქონდა მზაობა, გამოცდილება, სურვილიც და ბაზაც, რადგანაც მათ ფართი საკუთრებაში ჰქონდათ. სტუდენტები ჯერ არ მიუღიათ. გვერდით ლაბორატორიის არსებობაზე აღნიშნა და შეეძლოთ ამ კუთხით გაფართოება. რაც შეეხება ვექტორს - იყო აკრედიტებულიც და ლიცენზირებულიც - შეეძლოთ გაეტარებინათ პრაქტიკა, თუმცა ეს სიმულაციებს გულისხმობდა. კოლეჯ ორიენტირითან გაფორმებული ჰქონდათ ხელშეკრულება, თუმცა სილაბუსებში არ იყო მითითებული და გამოასწორებდნენ. ისინი ცდილობდნენ ბაზრის ამ მიმართულებით გაფართოებას.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სანამ დაიწყებდნენ აღნიშნულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობას ამ მიმართულებით, შესწავლილ იქნა და სხვადასხვა სასწავლებლებს გაესაუბრნენ. სასწავლო პრაქტიკა შემოიფარგლებოდა როლური თამაშებით და სიმულაციებით. ამას აბსოლუტურად უზრუნველყოფდა მათი ლაბორატორიის აღჭურვილობა. საველე პირობებს და ე.წ პოლიგონს რაც შეეხებოდა, შეიძლებოდა დერეფანშიც, ნებისმიერ აუდიტორიაშიც და სათანადო ექსპერტიზები და კვლევა სტუდენტების მიერ არავის ხელს არ შეუშლიდა. რექტორთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ხელშეკრულებით იყო გაწერილი მისი პასუხისმგებლობა და ამის ეჭვის ქვეშ დაყენება არ მიაჩნდათ საჭიროდ.

სხდომის თავმჯდომარემ, მაგდა მაღრაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, იყენებდნენ თუ არა ლაბორატორიას, რომელიც გააჩნდათ ბაკალავრიატზე, მაგრამ რატომ არ გამოდგებოდა მე-3, მე-4 და მე-5 საფეხურის პროფესიულებზე? ექსპერტმა, დავით ბოსტოღანაშვილმა აღნიშნა, რომ კრიმინალისტიკური ტექნიკის თვალსაზრისით, ვიზუალურად საკმარისი იყო, რომ წარმოდგენა შეექმნას, რა თქმა უნდა, მზადყოფნაც იყო, მაგრამ შემოწმების მომენტისთვის ეს არ იყო საკმარისი, საწარმოო პრაქტიკის თვალსაზრისით - ცალკე საწარმოოს გაცილებით სერიოზული ბაზა სჭირდებოდა.

მაგდა მაღრაძე დაინტერესდა აპირებდნენ თუ არა დოკუმენტაციის წარმოდგენას დაწესებულების წარმომადგენლები, თუ ჰქონდათ გეგმაში, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა მოახსენა, რომ საუბარი იყო დეტალებზე, რომლის განხორციელებაც შესაძლებელი იყოს სასწავლებელ ორიენტირთან.

საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რა მოცულობის იყო ლაბორატორია, ერთი ოთახი იყო, რამდენი სტუდენტის მიღებას აპირებდნენ და რამდენად იქნებოდა თავსებადი და შესაძლებელი, ვინაიდან იოლი არ იყო ლაბორატორიის მოწყობა, რამდენად იყო დროში მოსწრებადი? რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სულ ჰქონდათ 100 ადგილი , გარკვეული ადგილები შევსებული იყო. პირველ ეტაპზე 20-25 ადამიანის აყვანა სურდათ. ერთი ოთახი დაახლოებით 40 კვადრატი იყო. ფართის პრობლემა არ იყო, შესაძლებლობა ჰქონდათ 100 კვადრატული მეტრის დამატების. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასწავლო პრაქტიკებში სამხარაულის და დამოუკიდებელი ექსპერტიზის სპეციალისტები ჰყავდათ ჩართული და მხოლოდ აღჭურვილობით არ შემოიფარგლებოდნენ.

საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ აღნიშნა სასწავლო პრაქტიკის წინაპირობაზე, რომელიც რეკომენდაციებში იყო განხილული. დაწესებულების წარმომადგენელმა ამასთან დაკავშრებით აღნიშნა, რომ სანამ სასწავლო პრაქტიკა დაიწყებოდა იყო 15 საკონტაქტო საათი, თუმცა აუდიტორიული მეცადინეობა მხოლოდ თეორიულ სწავლებას არ გულისხმობდა - 15 საათის შემდეგ პარალელურად ცხრილში იქნებოდა, რომ წინ უსწრებდა თეორია და მერე სასწავლო პრაქტიკა.

საბჭოს წევრმა, თამარ ბრეგვაძემ დაინტერესდა თუ რამდენად მოთხოვნადი იყო ეს პროფესია სხვა უნივერსიტეტებში, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ საკმაოდ მოთხოვნადი იყო მე-3 - მე-4 საფეხურები.

4. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ქართულ ენაში მომზადების პროგრამა
სწავლების ენა:	ქართული
კრედიტების რაოდენობა:	60

5. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	მასწავლებლის მომზადების პროგრამა
სწავლების ენა:	ქართული
კრედიტების რაოდენობა:	60

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ქართულ ენაში მომზადების შესახებ წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნინო ჩიქოვანმა. ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ, პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაცია:

- სასწავლო კურსის ყველა სილაბუსში მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევის ერთი და იგივე ფორმები და მეთოდები. სასურველია სასწავლო კურსის სილაბუსებში მისაღწევი შედეგების მიხედვით იყოს სწავლა-სწავლების ფორმები და მეთოდები.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ წარადგინეს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნინო ჩიქოვანმა და ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ნინო ბალანჩივაძე. ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ, პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსის ყველა სილაბუსში მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევის ერთი და იგივე ფორმები და მეთოდები. სასურველია სასწავლო კურსის სილაბუსებში მისაღწევი შედეგების მიხედვით იყოს შერჩეული სწავლა-სწავლების ფორმები და მეთოდები;
- სასურველია, თუ პედაგოგიკის ისტორიის კურსის სწავლებისას ყურადღება მიექცევა თანამედროვე თეორიებისა და მეთოდების გაცნობას;
- ძირითად სასწავლო მასალასთან ერთად, მნიშვნელოვანია სტუდენტები იცნობდნენ სამეცნიერო წყაროებთან მუშაობის პრინციპებს, რაშიც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ პედაგოგებმაც.

ექსპერტებმა ნინო ჩიქოვანმა და ნინო ბალანჩივაძემ აღნიშნეს, რომ შენიშვნები არ ჰქონდათ, რეკომენდაციებში გამოთქმული მოსაზრებები კი გათვალისწინებული იყო. ექსპერტ ნინო ბალანჩივაძის რეკომენდაცია ეხებოდა სწავლების მეთოდთა ერთგვაროვნებას, რაც გათვალისწინებულ იქნა.

სხდომის თავმჯდომარემ, მაგდა მაღრაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ რა იყო ამ პროგრამის მიზანი, იზიარებდნენ თუ არა ექსპერტების აზრს და აპირებდნენ თუ არა ამ პროგრამის კიდევ უფრო დახვეწას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამ პროგრამის მიზანი იყო მოქალაქეების ქართულ სივრცეში მეტად ინტეგრაცია, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია და შედეგებზე გასვლა. რეკომენდაციებს ითვალისწინებდნენ, თუმცა აღნიშნეს, რომ ყველგან არ ჰქონდა ადგილი მეთოდთა ერთგვაროვნებას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ჩიქოვანმა მასწავლებლის მომზადების პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა მეთოდებსა და მასალებთან დაკავშირებით, ვინაიდან შეძენილი ჰქონდათ საერთაშორისო ბაზებთან წვდომა, კარგი იქნებოდა თუ გამოიყენებდნენ აქტიურად. ასევე, პირველ სემესტრში პრაქტიკის კურსში დაშვების წინაპირობა არ ჰქონდათ, რაც სტუდენტის მზაობას აყენებდა ეჭვქვეშ, რაც გაითვალისწინებულ იქნა და შეიცვალა. ასევე, აღნიშნა, რომ ბაზაზე არსებობდა მრავალპროფილიანი კერძო სკოლა პოლუსი, რომელთანაც მემორანდუმი ჰქონდათ გაფორმებული და თანამშრომლობდნენ.

სხდომის თავმჯდომარემ, მაგდა მაღრაძემ კითხვით მიმართა ექპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ნინო ჩიქოვანს ჰქონდათ თუ არა სკოლის ნახვის შესაძლებლობა და იყო თუ არა გათვალისწინებული ლაბორატორიების გამოყენება სწავლების პროცესში, რაზეც ექსპერტმა ნინო ჩიქოვანმა უპასუხა, რომ მემორანდუმი ადრინდელი გაფორმებული იყო, რადგანაც ჰუმანიტარულ საგნებს იმატებდნენ ლაბორატორიის გამოყენების აუცილებლობა არ იყო. ამ თემასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ლაბორატორიებს აქტიუად იყენებდნენ, მისი არგამოყენება კი სტანდარტის დარღვევა იქნებოდა.

საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, აპირებდნენ თუ არა მაგისტრატურის საფეხურის დამატებას და აპირებდნენ თუ არა პრაქტიკის კურსის დამატებას. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ უკვე ჰქონდათ მაგისტრატურის საფეხური და უკვე გაზრდილი ჰქონდათ პრაქტიკის კურსები ახალ პროგრამებში. სხდომის თავმჯდომარემ, მაგდა მაღრაძემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით თუ რამდენი სტუდენტის მიღებას აპირებდნენ, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მსურველი ძალიან ბევრი იყო და ამ წელსვე 40-45 სტუდენტი გადმოდიოდა. საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენლებს, ვინაიდან განათლების მიმართულებით აკადემიური პერსონალის ნაკლებობა იყო, როგორ აპირებდნენ ამ პრობლემის მოგვარებას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ჰყავდათ 8 აკადემიური კადრი, აქედან 5 აკადემიური პერსონალი იყო და 3 მოწვეული პროფესორი.

სხდომის თავმჯდომარის, მაგდა მაღრაძის წინადადებით 5 საკითხის განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები:

- შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის კრიმინალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 4; წინააღმდეგი -1);
- შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის კრიმინალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 4; წინააღმდეგი - 1);
- შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის კრიმინალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 4; წინააღმდეგი - 1);
- შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი -0);
- შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0).

6. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნქციათა თეორიისა და ფუნქციონალური ანალიზის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ფუნქციათა თეორია და ფუნქციონალური ანალიზი
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	წმინდა მათემატიკის მაგისტრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	050101
კრედიტების რაოდენობა:	120

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ რომეო გალდავამ და ექსპერტთა ჯგუფის წევრმა მანანა ხაჩიძემ. ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ, პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- პროგრამის მიღების წინაპირობა შესაძლებელია იყოს, აგრეთვე, ფიზიკის ან ინფორმატიკის ბაკალავრის ხარისხი, ვინაიდან ამ ხარისხის მქონე პირები უზრუნველყოფილი არიან იმ დონის ცოდნითა და უნარებით, რაც საკმარისია მოცემული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის;
- აუცილებელია მუშაობის წარმართვა მათემატიკის აქტუალურ მიღწევებზე დაფუძნებული ქართულენოვანი სასწავლო მასალის შექმნის მიზნით, ვინაიდან სილაბუსებში მითითებულია ძირითადად რუსული ან ინგლისურენოვანი ლიტერატურა;
- სასურველია, გაიზარდოს პროგრამაში ჩართული და ზოგადად მათემატიკის მიმართულების აკადემიური პერსონალის რიცხვი;
- სასურველია, რომ ა) ამოღებულ იქნას სასწავლო კურსი - „ინფორმაციული ტექნოლოგიები“, რადგან ის არ შეესაბამება მაგისტრატურის დონეს; ბ) ზოგადი ინგლისური და რუსული ენები ჩანაცვლდესდარგობრივი ენებით; გ) სასწავლო კურსი - „ MathCAD - ის ვირტუალური ლაბორატორია“ შეიცვალოს სასწავლო კურსით „ გამოყენებითი პროგრამული პაკეტები“, სადაც MathCAD - თან ერთად განხილული, გაანალიზებული და შედარებული იქნება სხვა მსგავსი ტიპის პაკეტები (მაგ, Mathlab, Maple და სხვ.);
- ინტერნაციონალიზაციის კუთხით, სასურველია რომელიმე სასწავლო კურსის/კურსების შეთავაზება უცხო ენაზე.

სხდომის თავმჯდომარე, მაგდა მაღრაძე დაინტერესდა თუ რამდენი იყო აკადემიური პერსონალი რაოდენობა თელავის უნივერსიტეტში სრული განაკვეთით, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ 3 აკადემიური პერსონალი იყო და 2-3 მოწვეული. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს თუ რამდენი სტუდენტის მიღებას აპირებდნენ, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ დაახლოებით 8 სტუდენტი მიღებული ჰყავდათ და შემდგომ დაახლოებით 5 სტუდენტის მიღებას აპირებდნენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რეკომენდაციების გაცნობის შემდეგ მოხდა ამ საკითხების განხილვა პროგრამების განმახორციელებელი პირების მიერ. რაც შეეხება მიღების წინაპირობას, აღნიშნა, რომ ეს უბრალოდ ტექნიკური ხარვეზი იყო და გამოსწორდა. ასევე, აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტების რეკომენდაციებს, ლიტერატურის ქართულ ენაზე მიწოდებასთან დაკავშირებით და გამოთქვა იმედი ამ პრობლემის უახლოეს მომავალში აღმოფხვრის შესახებ. რაც შეეხებოდა ინფორმაციული ტექნოლოგიების ამოღებას სასწავლო კურსიდან, გათვალისწინებულ იქნა ექსპერტების აზრები და შეიქმნა ახალი სიბაუსები ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ 2 ხუთკრედიტიან საგნად დატოვეს ინგლისური და გამოთქვეს სურვილი მომავალში ინგლისურენოვან პროგრამაზე გადასვლისა.

საბჭოს წევრი თამარ ზარანდია დაინტერესდა პრაქტიკის არ ქონა საგნის სპეციფიკიდან იყო გამომდინარე თუ არა. დაწესებულების წარმომადგენელის თქმით, ვინაიდან ეს კურსი წმინდა თეორიული კურსია, არ საჭიროებდა პრაქტიკულ კურსებს.

სხდომის თავმჯდომარე, მაგდა მაღრაძე დაინტერესდა თუ რა პერსპექტივები ჰქონდათ სტუდენტებს დასაქმების მხრივ. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სტუდენტები ძირითადად ადგილობრივ ბანკებში საქმდებოდნენ, მოთხოვნა კი საკმაოდ მაღალი იყო, რისი ნამდვილობა ექსპერტმაც დაადასტურა.

7. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	გამოყენებითი ეკონომიკა
განათლების საფეხური:	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ეკონომიკის დოქტორი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0701
კრედიტების რაოდენობა:	180

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ვასილ კიკუტაძემ და ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ია ნაცვლიშვილმა. ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ, პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- სასურველია, პროგრამის თავისუფალი (არჩევითი) კომპონენტების ზოგიერთი დისციპლინის (მაგ, მიკრო-მაკრო ეკონომიკის ძირითადი კონცეფციები, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა, ინოვაციური ეკონომიკა) სილაბუსში მითითებული ლიტერატურის გაძლიერება, რაც შესაძლებელია, როგორც დამატებითი სათანადო სამეცნიერო ლიტერატურის, ასევე თანამედროვე დოქტორანტურის დონის შესაბამისი სახელმძღვანელოების და ასევე სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის პერიოდული გამოცემების სტატიების პერმანენტული გამოყენების საფუძველზე, რის კარგ საშუალებასაც იძლევა უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსის წვდომა სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ მონაცემთა ბაზებთან;
- სასურველია პროგრამის თავისუფალი (არჩევითი) კომპონენტების დისციპლინების ბლოკში შემავალი „ თანამედროვე სტრატეგიების ძირითადი კონცეფციები“-ს დისციპლინის სახელწოდება, ამავე საგნის სილაბუსში წარმოდგენილი საკითხებიდან გამომდინარე ჩამოყალიბდეს, როგორც „ფირმის ეკონომიკური სტრატეგიები“ და დაზუსტდეს სილაბუსში მითითებული სახელმძღვანელოს ავტორის ან ავტორთა ჯგუფის დასახელებაც.
- სადისერტაციო საბჭოს (დოქტორანტურის) დებულების თანახმად (თავი 2, პუნქტი 3), პირს რომელსაც აქვს გამოქვეყნებული ერთი სამეცნიერო ნაშრომი მაინც საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში ან საერთაშორისო კონფერენციის (სიმპოზიუმის და ა.შ) მასალებში ანდა უცხოეთში, პროგრამაზე ჩაირიცხება უგამოცდოდ. ამასთანავე ამავე დებულებით განსაზღვრულია, რომ სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება სპეციალობაში მისაღები გამოცდის საფუძველზე, ხოლო დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. შესაბამისად, ზემოთაღნიშნული პირობებიდან გამომდინარე, თეორიულად შესაძლებელია პროგრამაზე უგამოცდოდ ჩაირიცხოს ეკონომიკის გარდა სხვა რომელიმე დარგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე აპლიკანტი, რომელსაც არ ექნება წინაპირობებით განსაზღვრული ცოდნა სპეციალობაში. შესაბამისად, მიზანშეწონილია დოქტორანტურის

დებულებაში მიღების წინაპირობების მეტი გამჭირვალობის იზრუნველსაყოფად დაკონკრეტდეს, დარგი ან მიმართულება, რომელშიც გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი ითვლება მოცემული მიზნისათვის შესაბამისად.

- დოქტორანტურის დებულების თანახმად, დასრულებული თემის საჯარო დაცვა ხდება დარგობრივ კომისიაზე, რომლის შემადგენლობის მაქსიმალური რაოდენობა შეზღუდული არ არის, რაც კარგია და იძლევა ცალკეული სადისერტაციო თემის სპეციფიკის მიხედვით კომისიის შემადგენლობის რაოდენობისადმი ინდივიდუალური მიდგომის გამოყენებას, შესაბამისად სასურველია იგივე პრინციპი იქნეს გატარებული მოცემული პროგრამის შემთხვევაშიც.

სხდომის თავმჯდომარემ, საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

ექსპერტთა მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, საბჭოს წინაშე საკუთარი მოსაზრება წარმოადგინა დაწესებულების წარმომადგენელმა. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ნაყოფიერი მუშაობის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციებისათვის. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თითოეული რეკომენდაციის საფუძვლიანი განხილვა მოხდა აღნიშნულ პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად. დაწესებულება იზიარებს რეკომენდაციებს და მათი ნაწილის გათვალისწინება უკვე მოხდა, ხოლო ნაწილის იგეგმება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რამდენიმე წლის წინ დაიწყეს თანამშრომლობა იტალიელ პროფესორთან და ერთობლივად შეიმუშავეს ეს პროგრამა. პროგრამის ძირითადი ნაწილი ეხებოდა კვლევის და ასისტირების უნარ-ჩვევების გამომუშავებას, ასევე, ძალიან ბევრ დოქტორანტს, რომელიც ნაშრომზე მუშაობას იწყებდა, სჭირდებოდა არჩევითი საგნების ბლოკი სასურველი მიმართულებით ცოდნის გასაღრმავებლად. ასევე, გაითვალისწინეს დამსაქმებლების სურვილიც და დამატებით ჩასვეს რამდენიმე საგანი. ასევე, პროგრამის ხელმძღვანელის მოთხოვნით ამოღებულ იქნა სადისერტაციო კომისიის წევრების ზედა ზღვარი სადოქტორო ნაშრომის დებულებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა სილაბუსებთან დაკავშირებით, რომ „თანამედროვე სტრატეგიები" შეიცვალა ფირმის ეკონომიკური სტრატეგიებით, ფაკულტეტის და აკადემიური საბჭოს მონაწილეობით. ასევე დაამატა, რომ მუდმივად ხდება დამატებითი ლიტერატურის გაძლიერება - ხდება სტატიების განახლება და ლიტერატურის დამატება. ასევე, სარგებლობენ ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტით და უგზავნიან წიგნებს.

სხდომის თავმჯდომარე, მაგდა მაღრაძე დაინტერესდა პროგრამაში იყო თუ არა ჩადებული ელექტრონული ბიბლიოთეკით სწავლება. დაწესებულების წარმომადგენელის თქმით, ყველა საერთაშორისო ელექტრონულ ბაზაში ჩართული იყო და ასევე სტუდენტებისთვის ელექტრონული ვერსიის მიწოდება შეეძლოთ. ამჟამად მოლაპარაკება მიმდინარეობდა, რომ პროგრამის გარკვეული ნაწილის გავლა სტუდენტებს იტალიის ერთ-ერთ უნივერსიტეტში შეძლებოდა.

სხდომის თავმჯდომარე, მაგდა მაღრაძე დაინტერესდა თუ რისთვის და ვისთვის ამზადებდნენ სტუდენტებს. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ერთ-ერთი დამსაქმებელი არის გუბერნიიდან, საკრებულოდან, რომელსაც მკაფიოდ ჰქონდა ჩამოყალიბებული კადრების საჭიროება.

საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია დაიტერესდა თუ ჰყავდათ სადოქტორო პროგრამის გარე შემფასებლები. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სადოქტორო

პროგრამაზე სამუშაოს დაწყებამდე პროსპექტუსის ელემენტი ჰქონდათ ჩართული, ასევე სადისერტაციო ნაშრომის შეფასებაში გარე შემფასებლებიც მონაწილეობდნენ.

საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ აღნიშნა, რომ დოქტორანტურის კურსდამთავრებულები ხშირად მაგისტრებთან იყო გათანაბრებული, დაინტერესდა ჰქვონდათ თუ არა რაიმე განსხვავებული ხედვა უფრო სამეცნიერო მიმართულებით. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტუდენტები როცა დაამთავრებდნენ, კონკრეტული სფეროს სპეციალისტები უნდა ყოფილიყვნენ და არა უბრალოდ ლექტორები - შესაბამისად, ამიტომ დაარქვეს გამოყენებითი ეკონომიკა. წარმომადგენელმა, ასევე, დაამატა, რომ დამსაქმებლებს სჭირდებათ კონკრეტული ანალიზის უნარის მქონე დასაქმებულები.
საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია დაინტერესდა არჩევითი საგნები ბიზნესის პროგრამიდან იყო თუ ცალკე შექმნეს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კურსები უშუალოდ ამ პროგრამისთვის იქნა შემუშავებული და ჩამოთვალა სხვადასხვა ეკონომიკური მიმართულებები.

საბჭოს წევრი, თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა, რამდენი დოქტორანტის მიღებას ელოდებოდა დაწესებულება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დასაწყისისთვის დაახლოებით 5 სტუდენტის მიღებას გეგმავდნენ.

საბჭოს წევრი, თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა, თუ არსებობდა მსგავსი სადოქტორო პროგრამები, რომლებსაც ამ არჩევითი კურსების გამოყენება ასევე შეეძლებოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამები არ იყო, მაგრამ სამაგისტროები იყო დაინტერესებული.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები:

- სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნქციათა თეორიისა და ფუნქციონალური ანალიზის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ეკონომიკის სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);

8. შპს ინტერბიზნესის აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	02
კრედიტების რაოდენობა:	240

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გიორგი ღაღანიძემ წარუდგინა საბჭოს შპს ინტერბიზნესის აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით შემუშავებული რეკომენდაციები:
ამ ეტაპზე მიზანშეწონილი არ იქნება საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია, მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით, ძირითად პრობლემას წარმოადგენს ინტერბიზნესის აკადემიასა და არიელის უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმი. ამ მემორანდუმის მიხედვით, ინტერბიზნესის აკადემიას არ შეუძლია შესაბამისი ცვლილებების შეტანა საგანმანათლებლო პროგრამაში. პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია:

- საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულების შეცვლა და მისი გადაყვანა ეკონომიკაზე;
- საგანმანათლებლო პროგრამის არქიტექტურის ცვლილება, ისე რომ არ დაირღვეს საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო მოთხოვნები და მაქსიმალურად შენარჩუნდეს არიელის უნივერსიტეტთან შეთანხმებული სტრუქტურა;
- საგანმანათლებლო პროგრამამ იფუნქციონიროს ავტორიზაციის რეჟიმში და გარკვეული პერიოდის შემდეგ განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები.

სხდომის თავმჯდომარემ, მაგდა მაღრაძემ, საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უჭირდა დათანხმებოდა ექსპერტების დასკვნას, რადგანაც არც-ერთი სასწავლო კურსი არ განაპირობებდა ამა თუ იმ პროგრამით გათვალისწინებულ კვალიფიკაციაზე გასვლას. დაწესებულების წარმომადგენელმა წარუდგინა საბჭოს წევრებს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წერილი, სადაც განსაზღვრულია რომ ნებისმიერი პროგრამის შეფასება ხდება შინაარსობრივად, არ არსებობდა რეგულაცია, რომელიც გვავალდებულებდა რომელიმე საგნის სწავლებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა განმარტა წერილის შინაარსთან დაკავშირებით, რომ დარგობრივი მახასიათებლები განსაზღვრული იყო მხოლოდ რეგულირებად პროფესიებთან მიმართებით და არ იყო დეტალურად განსაზღვრული რა შედეგზე უდნა გადიოდეს ესა თუ ის პროგრამა, თუმცა კვალიფიკაციის შინაარსი შესაბამისი უნდა ყოფილიყო სასწავლო კურსების შინაარსთან, ანუ კურსები უნდა იძლეოდეს კვალიფიკაციის შესაბამის შედეგებზე გასვლის საშუალებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულების შეცვლასთან დაკავშირებით ვერ დაეთანხმებოდნენ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას. დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, ბიზნეს ადმინისტრირების მიმართლებით - 103 კრედიტი იყო გათვალისწინებული პროგრამაში, ხოლო წმინდა ეკონომიკურ მიმართულებას - 23 კრედიტი ეთმობოდა. მისი განმარტებით, შეუძლებელი იყო ბიზნეს ადმინისტრირების სწავლება ზოგიერთი ეკონომიკური საგნის გარეშე. დაწესებულების წარმომადგენელმა ერთობლივ პროგრამებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათ აქვთ არიელის უნივერსიტეტთან მემორანდუმი, სადაც ჩაშლილი იყო ერთობლივად გასახორციელებელი პროგრამების პირობები. ვებგვერდზეც ჰქონდათ გაწერილი რეგულირების მექანიზმები. ყველა მნიშვნელოვანი საკითხი იყო გაწერილი ისრაელის უნივერსიტეტთან დადებული მემორანდუმით, მათ შორის ის საკითხიც, რომ ერთობლივად იყო შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამები და შესაბამისი მიმართულებები. მოცემული საბაკალავრო პროგრამა აკმაყოფილებდა ევროპის კვალიფიკაციათა დესკრიპტორს. მისი განმარტებით, ბიზნეს ადმინისტრირების კვალიფიკაცია შესაბამისობაში იყო და გადიოდა ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაციაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამას ჰქონდა რეცენზიები დამსაქმებლებისგან.

სხდომის თავმჯდომარემ, მაგდა მაღრაძემ მოითხოვა მემორანდუმის წარმოდგინა, სადაც ეწერა, რომ რომ სასწავლო კურსები ჩატარდებოდა სამი სასწავლო წლის მანძილზე დაწესებულებაში, ხოლო ერთი წელი - არიელის უნივერსიტეტში. მაგდა მაღრაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებას იყო თუ არა აღნიშნული საბაკალვრო პროგრამა ერობლივი პროგრამა და ვინ გასცემდა დიპლომს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვინც არიელის უნივერსიტეტში დაასრულებდა სწავლას მათ დიპლომს მიიღებდა, ხოლო ვინც ვერ დაძლევდა მათ მოთხოვნებს, შპს ინტერბიზნესის აკადემიის დიპლომს მიიღებდა.

სხდომის თავმჯდომარე, მაგდა მაღრაძე დაინტერესდა, თუ რა ენაზე მიმდინარეობდა სწავლა და ჰქონდათ თუ არა ენის ფლობის დონის მოთხოვნა განსაზღვრული.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სწავლა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა და თანდათან შემოდიოდა ინგლისური ლიტერატურაც. რაც შეეხებოდა ინგლისური ენის ფლობის დონეს, ითხოვდნენ B1 დონეს.

სხდომის თავმჯდომარემ, მაგდა მაღრაძემ აღნიშნა, რომ ვერ ამოიკითხა პროგრამაში B1 დონის მოთხოვნა და მიმართა კითხვით, თუ როგორ ხდებოდა ეს პროცესი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტუდენტები სწავლის დაწყებიდან 5 სემესტრი სწავლობდნენ ინგლისურს, რომელსაც ისრაელის უნივერსიტეტის წარმომადგენელიც აკონტროლებდა.

სხდომის თავმჯდომარე, მაგდა მაღრაძე დაინტერესდა სწავლის გადასახადის ოდენობით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არიელის უნივერსიტეტში სწავლის საფასური შეადგენდა 10 000 აშშ დოლარს, ხოლო ინტერბიზნესის აკადემიაში ეს იყო ბევრად ნაკლები.

სხდომის თავმჯდომარე, მაგდა მაღრაძე დაინტერესდა თუ რაში მდგომარეობდა კურიკულუმის განსხვავებულობის მიზეზი და ხომ არ იყო ეს გამოწვეული არიელის უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმით.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარის მოსაზრებას და განამრტა, რომ ყველა ის სასწავლო კურსი გადანაწილებული იყო სხვადასხვა სასწავლო კურსში, უბრალოდ იმ სახელწოდებით არ იყო წარმოდგენილი, როგორც ეს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეშია დამკვიდრებული. საგანმანათლებლო პროგრამა განსხვავებული იყო თავის ინოვაციური ხედვითა და სასწავლო კურსებით, თუმცარა შინაარსობრივად გადიოდა შესაბამის შედეგზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ რომ პროგრამის შინაარსი, შედეგები, მიზნები და სახელწოდება უნდა ყოფილიყო ერთმანეთთან ბმაში და საგნები უნდა იძლეოდეს კვალიფიკაციაზე გასვლის შესაძლებლობას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ის საგნები რაც აღინიშნა ისწავლებოდა ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც ამ საბაკალავრო პროგრამას ახორიელებდა. ამასთან, უნდა ისწავლებოდეს ისეთი საგნები როგორიცაა „ოპერაციათა მენეჯმენტი", რომელსაც ვერ ჩაშლიდნენ სხვა საგანში. „სტრატეგიული მენეჯმენტი" აუცილებელი იყო, რათა ბიზნესის ადმინისტრირების სტუდენტებს წარმოდგენა შექმნოდათ მათ სპეციალობაზე. დასახელებული დისციპლინები იყო ის აუცილებელი კომპეტენციები, რასაც უნდა მოიცავდეს ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამართლებრივი აქტებით არ იყო დარეგულირებული, ამა თუ იმ საგნების გათვალისწინება არ გათვალისწინების საკითხი საგანმანათლებლო პროგრამში. საგნების გადანაწილება და ჩაშლა შესაძლებელი იყო, მთავარი იყო პროგრამა გასულიყო შესაბამის შედეგზე.

სხდომის თავმჯდომარე, მაგდა მაღრაძე დაინტერესდა, ხომ არ ჰქონდათ დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოდგენილი არიელის უნივერსიტეტის დასკვნა ინტებიზნესის აკადემიის სასწავლო გეგმის თაობაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დასკვნა მითითებული იყო მემორანდუმში და არიელის უნივერსიტეტი ინფორმირებული იყო ამის შესახებ.

საბჭოს წევრმა, თამარ ბრეგვაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტის მიერ დასახელებული საგნები უნდა ყოფილიყო პროგრამაში გათვალისწინებული. ის დაინტერესდა თუ რატომ არ არ მოხდა დაწესებულების მიერ ამ საგნების ჩასმა საგანმანათლებლო პროგრამაში, ანუ რა სირთულესთან იყო დაკავშრებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს საგანმანათლებლო პროგრამა მთლიანად არიელის უნივერსიტეტის პროგრამას წარმოადგენდა, რომელიც იყო 120 კრედიტის მოცულობის. მათი პროგრამა აკრედიტებული იყო და გადიოდა შესაბამის შედეგზე. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნული 120 კრედიტი მოიყვანეს ქართულ განათლების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში და გახადეს 240 კრედიტიანი. საგნები, რომლებიც არიელის უნივერსიტეტში იყო 2-3 კრედიტიანი, რთული იქნებოდა სკოლიდან მოსული ქართველი ბავშვისთვის, ამიტომ მოხდა კრედიტების გაზრდა, საგნების დამატება, მათ შორის ინგლისური ენის სასწავლო კურსის. ხოლო საბჭოს წევრის კითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სასწავლო კურსების არ ჩამატება საბაკალავრო პროგრამაში, განპირობებული იყო მათი ჩაშლით დაწესებულების სხვადასხვა სასწავლო კურსში.

სხდომის თავმჯდომარე, მაგდა მაღრაძე დაინტერესდა, თუ რა სახის აკრედიტაცია ჰქონდა მოპოვებული არიელის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამას. ინტერბიზნესის აკადემიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არიელის უნივერსიტეტი იყო

ისრაელის სახელმწიფოს უდიდესი უნივერსიტეტი და გასცემდა დიპლომს, რომელიც მსოფლიოში იყო აღიარებული. მას აკრედიტაცია ისრაელის უმაღლესი საგანმანათლებლო საბჭოს მიერ ჰქონდა მინიჭებული.

ცენტრის თანამშრომელმა, ქეთევან ინანაშვილმა ითხოვა მისცემოდა კომენტარის გაკეთების საშუალება. მან თავი წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ დაწესებულებაში იმყოფებოდა ვიზიტის მონიტორინგის მიზნით. მან აღნიშნა, რომ ერთობლივი პროგრამის წესის მიხედვით, უნდა არსებულიყო ასეთი პროგრამის განხორციელების წესი, ასეთი წესი კი არ ყოფილა წარმოდგენილი დაწესებულების მხრიდან. ქეთევან ინანაშვილმა დაადასტურა, რომ ინტერვიუირებისას პირველი კითხვა დაისვა, იყო თუ არა ეს ერთობლივი პროგრამა, შემდეგ როცა დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ეს რეგულაცია, თვითონვე დაადასტურეს, რომ ეს არ იყო ერთობლივი პროგრამა. პროგრამის შემუშავების და განხორციელების წესი, რომელშიც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო მთელი რიგი პროცესები, სტუდენტების ჩარიცხვა, ფინანსური ვალდებულებები, პერსონალი, დიპლომის გამცემი დაწესებულება და ა.შ., არ ყოფილა წარმოდგენილი. ცენტრის თანამშრომელმა აღნიშნა, რომ მისი ზოგადი შეფასებით, ის უფრო გაცვლით პროგრამას წარმოადგენდა, რომლის ფარგლებშიც დაწესებულება სთავაზობდა სტუდენტებს, რომ სასწავლო მოდული გაევლოთ უცხო ქვეყანაში და გაიცემოდა იმ ქვეყნის დიპლომი. ქეთევან ინანაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტებმა დაათვალიერეს არიელის უნივერსიტეტის ვერ გვერდი, მაგრამ სამწუხაროდ ვერ იხილეს ინფორმაცია აკრედიტებულ პროგრამაზე და რადგანაც ექსპერტები არ იცნობდნენ ამ პროგრამას, შეაფასეს ის, რაც წარმოადგინა დაწესებულებამ.

დაწესებულების წარმომადგენელმა გააპროტესტა ქეთევან ინანაშვილის განცხადება და აღნიშნა, რომ არიელის უნივერსიტეტის 120 კრედიტიანი საგანმანთლებლო პროგრამიდან სტუდენტს უნდა გაევლო მხოლოდ 40 კრედიტი. დაწესებულება ამზადებდა სტუდენტს იქ სწავლის გასაგრძელებლად. ლისაბონის კონვენციით გათვალისწინებული იყო, რომ როდესაც სტუდენტი მობილობით გადადიოდა, იღებდა იმ უნივერსიტეტის დიპლომს სადაც გადავიდა და დაასრულა სწავლა და დანართშიც გაწერილი იყო, რომ მხოლოდ ერთი დიპლომი ეძლეოდა სტუდენტს.

მაგდა მაღრაძე დაინტერესდა, იყო თუ არა ეს ახალი საგანმანთლებლო პროგრამა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ავტორიზაცია მოიპოვა ნოემბერში და ჯერ სტუდენტები არ ჰყავდათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ საბაკალავრო პროგრამაზე ყველა შენიშვნა გაბათილდა, რასაც ვერ იტყოდნენ ინფორმატიკის პროგრამაზე. მისი განმარტებით, ნამდვილად იყო ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამაში ხარვეზი და უარს აცხადებდა დაწესებულება მისი აკრედიტაციის საკითხის განხილვაზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ დააფიქსირა ზეპირი განცხადება საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ და სასურველი იყო კანცელარიაშიც დაერეგისტრირებინათ წერილობითი განცხადება აღნიშნულის თაობაზე.

თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა, რა იყო პროგრამის განხილვაზე უარის თქმის მთავარი მიზეზი.

ექსპერტმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა შესაბამისი მატერიალური რესურსი პრაქტიკისათვის, ასევე, ლიტერატურასთან დაკავშრებით იყო რიგი

პრობლემები. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანში და შედეგში გაწერილი იყო პროგრამისტის კვალიფიკაციაზე გასვლა და აღმოჩნდა რომ საუბარი იყო იყო ვებ-დიზაინზე და არქიტექტურაზე. პრობლემები იყო ასევე, პროგრამაზე დაშვების წინპირობებთან მიმართებითაც და სხვა რიგ საკითხებთან, რომლებიც აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში იყო დაფიქსირებული.

დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმნენ ექსპერტს და აღნიშნეს, რომ ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე მუშაობა იყო საჭირო.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 13:17 საათზე. საბჭოს სხდომა განახლდა 14:00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები:

- შპს ინტერბიზნესის აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე მომხრე -2; წინააღმდეგი - 3).

მაგდა მაღრაძემ განაცხადა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით იყო ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა და ბუნდოვანება, რომელმაც განაპირობა საბჭოს უარყოფითი გადაწყვეტილება პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე. სხდომის თავმჯდომარემ მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს, კიდევ ერთხელ გაცნობოდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, ენახათ, რა ცვლილებების შეტანა შეეძლოთ იმისთვის, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაეკმაყოფილებინათ. მისი თქმით, არც ის იყო გასაგები ერთობლივი იყო თუ არა აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ისინი ელოდნენ ექსპერტებისაგან რეკომენდაციების მიღებას, თუმცა გაურკვევლობაში დარჩნენ. ექსპერტი თავაზობდა მათ ისეთი საგნების შეტანას პროგრამაში, რომელიც კონცეფციას დაარღვევდა. მისი თქმით, ასევე გაუგებარი იყო ის საკითხი, თუ როგორ შეიძლებოდა ერთ ქვეყანაში საგანმანათლებლო პროგრამას დაეკმაყოფილებინა აკრედიტაციის სტანდარტები და მეორეში არა.

მაგდა მაღრაძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და განუმარტა, რომ მათ არ წარმოუდგნიათ ის წესი, რომლის მიხედვითაც გაიცემა ერთობლივი დიპლომი. ასე რომ ვერ გაითვალისწინებდნენ არიელის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხს. ქართული საკანონმდებლო ჩარჩო არ აძლევდათ საშუალებას ავტომატურად გადმოეტანათ აკრედიტაცია. მან აღნიშნა, რომ ყველაფერი არ იყო გაწერილი მემორანდუმში, არ ეწერა რა პროგრამებზე იყო საუბარი, როგორ ხდებოდა კრედიტების დათვლა და საქართველოს მოქალაქეების მიღება, ეს იყო ზოგადი ხასიათის კარგად შედგენილი მემორანდომი, რომელშიც გაწერილი იყო რომ არსებობს ურთიერთთანამშრომლობის ჩარჩო. დაწესებულების რეგულაციებში უნდა ასახულიყო, რომ ერთობლივ პროგრამაზე იყო საუბარი. საბჭოს თავმჯდომარით თქმით, საბჭო დაეყრდნო ექსპერტების დასკვნას, რომლის მიხედვითაც საგანმანათლებლო პროგრამა ვერ გადიოდა შესაბამის შედეგზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ინიციატივით ექსპერტთა ჯგუფს, შპს საქართველოს საავიაცო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ფრენის მართვის ავტომატიზებული სისტემების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ერთად წარდგენის თაობაზე.

9. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ფრენის მართვის ავტომატიზებული სისტემების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ინფორმაციული ტექნოლოგიები და ფრენის მართვის ავტომატიზებული სისტემები
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ინჟინერიის ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0401
კრედიტების რაოდენობა:	240

10. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ფრენის მართვის ავტომატიზებული სისტემების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ინფორმაციული ტექნოლოგიები და ფრენის მართვის ავტომატიზებული სისტემები
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ინჟინერიის მაგისტრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	040101
კრედიტების რაოდენობა:	120

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ზურაბ ლომსაძის განმარტებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დასაწყისში დაწესებულებამ წარმოადგინა კორექტირებული საგანმანათლებლო პროგრამები, თუმცაღა ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა ცენტრში თავადაპირველად წარდგენილი საგანმანათლებლო პროგრამები, რადგანაც დაწესებულებამ ცვლილებების თაობაზე ცენტრს არ აუწყა ვიზიტის განხორციელებამდე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მანანა ხაჩიძემ.

ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ, **ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ფრენის მართვის ავტომატიზებული სისტემების საბაკალავრო პროგრამის** შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- პროგრამაში რამდენიმე საგნის ჩანაცვლება გააძლიერებდა ინფორმაციული ტექნოლოგიების შესწავლის დონეს. მაგალითად: მათემატიკური საგანი „დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვა“ ჩანაცვლდეს სხვა მათემატიკური საგნით „დისკრეტული მათემატიკა“. საგანი „ზოგადი ქიმია“ - „ალგორითმებით“;

- ყველა საგანში მითითებულია ქართულენოვანი ლიტერატურა, ზოგ დისციპლინებში დამხმარე ლიტერატურად მითითებულია მხოლოდ რუსულენოვანი სახელმძღვანელოებიც. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ პროგრამაში ინგლისური ენის შესწავლას დიდი ადგილი უკავია, სასურველია ლიტერატურა გამდიდრდეს ინგლისურენოვანი მასალით.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ დასახელებული საბაკალავრო პროგრამის ორი საგანი მოითხოვდა სათაურის კორექტირებას (გამომდინარე შინაარსიდან) ვინაიდან: საგანი „ინფორმაციული ტექნოლოგიები" შინაარსით წარმოადგენდა „კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს", ხოლო საგანი „კომპიუტერული გრაფიკა" შინაარსით წარმოადგენდა კომპიუტერული გრაფიკის პაკეტის Auto CAD შესწავლას მომხმარებლის დონეზე. პირველ შემთხვევაში მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სახელწოდების შეცვლა შემდეგი სახით: „კომპიუტერული უნარები", ხოლო მეორეში კი - „კომპიუტერული გრაფიკის პაკეტი (AutoCAD)". აღნიშნული რეკომენდაცია გაზიარებულ იქნა დაწესებულების მიერ, პროგრამასა და სასწავლო კურსების სილაბუსებში შევიდა შესაბამისი ცვლილებები ვიზიტის პროცესშივე.

ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ, **ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ფრენის მართვის ავტომატიზებული სისტემების სამაგისტრო პროგრამის** შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაცია:

- ბევრ საგანში მითითებულია მხოლოდ ქართულენოვანი ლიტერატურა კონსპექტის სახით, ხოლო ზოგიერთ დისციპლინაში დამხმარე ლიტერატურად მითითებულია მხოლოდ რუსულენოვანი სახელმძღვანელოები. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ პროგრამაში ინგლისური ენის შესწავლას დიდი ადგილი უკავია, სასურველია ლიტერატურა გამდიდრდეს ინგლისურენოვანი მასალით.

სხდომის თავმჯდომარემ, საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

ექსპერტთა მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, საბჭოს წინაშე საკუთარი მოსაზრება წარმოადგინა დაწესებულების წარმომადგენელმა. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ნაყოფიერი მუშაობის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციებისათვის. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თითოეული რეკომენდაციის საფუძვლიანი განხილვა მოხდა აღნიშნულ პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად.

ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ფრენის მართვის ავტომატიზებული სისტემების საბაკალავრო პროგრამის მიმართ შემუშავებულ პირველ რეკომენდაციას ეთანხმებოდა დაწესებულება, რადგან საგნების ასეთი ჩანაცვლება გააძლიერებდა ინფორმაციული ტექნოლოგიების შესწავლის დონეს. მეორე რეკომენდაციას, ლიტერატურის ინგლისურენოვანი მასალით გაძლიერების შესახებ იზიარებდა დაწესებულება და უკვე დაწყებული იყო ინტენსიური მუშაობა ამ მიმართულებით.

სამაგისტრო პოგრამის მიმართ შემუშავებულ რეკომენდაციას რაც შეეხებოდა, ზოგიერთ საგანში მხოლოდ კონსპექტის სახით არსებული ქართულენოვანი ლიტერატურის არსებობა განპირობებული იყო იმ საგნების სპეციფიკით, რომელიც ძირითადში დაკავშირებული იყო საბორტო კომპიუტერებისა და გამოთვლითი სისტემების, მართვის

საბორტო ინტელექტუალური სისტემების შესწავლის საკითხებთან და რომელთა შესახებ ქართულენოვანი სახელმძღვანელოები საერთოდ არ არსებობდა. უნივერსიტეტში მიმდინარეობდა მიზანმიმართული მუშაობა ასეთი სახელმძღვანელოების შესაქმნელად, რაც მომავალში თავისთავად გამორიცხავდა ამ საგნებში მხოლოდ კონსპექტის სახით არსებული ლიტერატურის არსებობას. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას ინგლისურენოვანი მასალით გამდიდრების შესახებ, დაწესებულება იზიარებდა და მოხდებოდა მისი გათვალისწინება.

საბჭოს წევრი, თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა, თუ როგორ აპირებდა დაწესებულება სასწავლო კურსების ჩანაცვლებას, იქნებოდა თუ არა ახალი აკადემიური პერსონალის მოწვევა აუცილებელი.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებას უკვე ჰყავდა შესაბამისი კვალიფიკაციის აკადემიური პერსონალი, კერძოდ მათემატიკის სპეციალისტები გაუძღვებოდნენ ახალ სასწავლო კურსებს.

სხდომის თავმჯდომარე, მაგრდა მაღრაძე დაინტერესდა, თუ რამდენად კარგად იყო აღჭურილი დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და პასუხობდა თუ არა ის თანამედროვე მოთხოვნებს.

ექსპერტის თქმით, დაწესებულებას გააჩნდა კარგი მატერიალური ბაზა. ფრენის სიმულციის ტრენაჟორი და სხვა აღჭურვლობები უზრუნველყოფდა შესაბამისი კადრის მომზადებას.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ სად იყო შესაძლებელი სტუდენტების მიერ პრაქტიკის გავლა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმები და ხელშეკრულებები სხვადასხვა პრაქტიკის ობიექტთან. ამასთან, თავად დაწესებულების ბაზაზე ფუნქციონირებდა ბაზა ქ. თელავში, სადაც შესაძლებელი იყო სხვადასხვა მიმართულების სტუდენტების მიერ პრაქტიკის გავლა.

11. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (კომერციული პილოტი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია (კომერციული პილოტი)
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ინჟინერიის ბაკალავრი საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციაში
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0416
კრედიტების რაოდენობა:	240

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ზურაბ ლომსაძემ.

ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ, **საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (კომერციული პილოტი) საბაკალავრო პროგრამის** შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებულია, რომ იგი არის ქართულ-ინგლისური. ფაქტობრივად საქმე გვაქვს ქართულენოვან პროგრამასთან ინგლისურენოვანი კომპონენტებით. ამდენად მიზანშეწონილია შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება პროგრამაში, რათა იგი არ იყოს შეცდომაში შემყვანი;
- პროგრამის ძირითადი სპეციალობის მოდული არ შეიცავს არჩევით კომპონენტებს;
- სასწავლო კურსი „საჰაერი კანონმდებლობა“ არ ითვალისწინებს საქართველოში ავიაციის სფეროში არსებული საკანონმდებლო ბაზის (მაგ.: საქართველოს საჰაერო კოდექსი, საქართველოს კანონი ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ და ა.შ.) განხილვას;
- პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველი იქნებოდა ფსიქოლოგია შეტანილ იქნეს სავალდებულო საგნად. ასევე ცალკე საგნად ისწავლებოდეს ფრენის უსაფრთხოების საკითხები;
- კორექტირებულ პროგრამაში ნაცვლად სასწავლო კურსისა „ელექტროტექნიკა და ელექტრონიკა“ შეცდომითაა მითითებული „საავიაციო ტექნიკის საფუძვლები“;
- საბიბლიოთეკო რესურსი საჭიროებს შევსებას თანამდეროვე ქართულენოვანი სახელმძღვანელოებით, რადგან რიგ სილაბუსებში ლიტერატურა წარმოდგენილია მხოლოდ სალექციო მასალების ელექტრონული ვერსიების ან მხოლოდ ერთი დასახელების ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოს სახით. ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების სილაბუსებში არაა მითითებული ელექტრონული სახით დაწესებულებაში არსებული თანამედროვე დამხმარე სახელმძღვანელოები - ე.წ. CBT, ასევე საჰაერო ხაზების სახელმძღვანელო;

- მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაწესებულებაში შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალური მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც გაწერილ იქნება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები, ხარისხის კონტროლის კრიტერიუმები და მათი გამოყენების მეთოდოლოგია;
- მიზანშეწონილია, განხილული საგანმანათლებლო პროგრამა იყოს რეგულირებადი.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა სწავლის მეთოდებთან დაკავშირებით შემდეგი: როგორც სასწავლო პროგრამაში, ასევე სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლების ფორმებში მითითებული იყო პრაქტიკული მეცადინეობა და ლაბორატორიული მეცადინეობა, ხოლო მეთოდების ჩამონათვალში შესაბამისი მეთოდები იყო გამორჩენილი. პრაქტიკული მეცადინეობის არსის ფორმულირება მოითხოვდა კორექტირებას; ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსებში სწავლების მეთოდები საჭიროებდა შევსებას სწავლების ფორმების შესაბამისად. ასევე დახვეწას მაგ.: მათემატიკის სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლების მეთოდად მითითებული იყო - შემთხვევის ანალიზი (Case study), რაც სილაბუსების შინაარსიდან გამომდინარე არ გამოიყენებოდა. შესაბამისად უნდა ამოღებულიყო სილაბუსიდან; ვინაიდან სასწავლო პროგრამაში უმნიშვნელოვანესი შედეგია ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, სპეციალობის შესაბამისად სპეციფიური და უსაფრთხოების დაცვის უპირობო მოთხოვნებიდან გამომდინარე, იმ სასწავლო კურსებში, სადაც სწავლების ფორმები მოითხოვს პრაქტიკული უნარების გამომუშავებას, სტუდენტებს დაუწესდეთ დამატებითი მოთხოვნა უნივერსიტეტის შეხედულების შესაბამისად, რათა შეფასება საკმარისი მოცულობით ასახავდეს პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის საჭირო მასალის ათვისების შეფასებას. აღნიშნული რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა დაწესებულების მიერ, პროგრამასა და სასწავლო კურსების სილაბუსებში შევიდა შესაბამისი ცვლილებები ვიზიტის პროცესშივე.

სხდომის თავმჯდომარემ, საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება ეთანხმებოდა ექსპერტთა მიერ დასკვნაში დაფიქსირებულ პირველ რეკომენდაციას და უკვე შეტანილი იყო შესაბამისი შესწორება. მეორე რეკომენდაციასთან მიმართებით განმარტა, რომ კომერციული პილოტის საბაკალავრო პროგრამა შედგენილი იყო ICAO-ს ჩიკაგოს კონვენციის პირველი დანართის, EASA-ს სამოქალაქო ავიაციის ეკიპაჟის წევრების დადგენილი მოთხოვნებისა და საქართველოში „ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესების" მიხედვით, გამომდინარე აქედან, როგორც ეროვნული ასევე საერთაშორისო მოთხოვნები ზუსტად განსაზღვრავდა ძირითადი სპეციალობის მოდულის კომპონენტებს, შესაბამისად შეუძლებელი იყო მასში არჩევითი კომპონენტების ჩართვა. მესამე რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ საქართველო იყო ICAO-ს წევრი ქვეყანა და საქართველოს საავიაციო კანონმდებლობა შესაბამისობაში იყო საერთაშორისო კანონმდებლობასთან. გამომდინარე აქედან, სასწავლო კურსი „საფაერო კანონმდებლობა" სრულად მოიცავდა აუცილებელ მასალას. მეოთხე რეკომენდაციასთან მიმართებით განმარტა, რომ დაწესებულებას მიზანშეწონილად მიაჩნდა ფსიქოლოგიის, არჩევით საგნად დატოვება, რადგან ძირითადი სპეციალობის მოდულის კომპონენტი - „ადამიანის შესაძლებლობები" სრულად მოიცავდა საავიაციო ფსიქოლოგიას,

ადამიანის შესაძლებლობებს და ადამიანის ფაქტორის გავლენას ფრენის უსაფრთხოებაზე. მეხუთე რეკომენდაციაში დაფიქსირებული შეცდომა გამოსწორებულ იქნა დაწესებულების მიერ. მეექვსე რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ ძირითადი სპეციალობის მოდულის კომპონენტებისათვის განკუთვნილი ლიტერატურა დადგენილი იყო საერთაშორისო მოთხოვნებით, შესაბამისად სხვა ლიტერატურის გამოყენება ცალსახად მიუღებელი იყო. რაც შეეხებოდა დამხმარე ელექტრონული სახელმძღვანელოების სილაბუსებში შეტანას, აღნიშნული რეკომენდაცია უკვე გათვალისწინებულ იქნა. მეშვიდე რეკომენდაციასთან მიმართებით განმარტა, რომ უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სახელმძღვანელო დამტკიცებული იყო მიმდინარე წლის 24 ივნისს და საკონტროლო ეგზემპლარი წარდგენილი იყო სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში, რის გამოც ვერ მოხერხდა მისი წარმოდგენა ექსპერტებისათვის ვიზიტის პროცესში. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს წარუდგინა ხარისხის მართვის სახელმძღვანელო. ბოლო რეკომენდაციასთან მიმართებით განმარტა, რომ დაწესებულება სრულად ეთანხმებოდა ექსპერტთა მოსაზრებას, კომერციული პილოტის საგანმანათლებლო პროგრამის რეგულირებადობის საკითხთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარე, მაგდა მაღრაძე დაინტერესდა, აკმაყოფილებდა თუ არა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საფრენოსნო მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამები საერთაშორისო საფრენოსნო სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, საქართველო წარმოადგენდა სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (იკაოს) წევრ ქვეყანას, შესაბამისად, საფრენოსნო მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამები საჭიროებდნენ ორგამ აკრედიტაციას, როგორც იკაოს მიერ, ისე საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ. გამომდინარე აქედან, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ გაცემული დიპლომები საერთაშორისო დონის იყო.

საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია დაინტერესდა, დაწესებულების კურსდამთავრებულების დასაქმების საკითხით.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, კურსდამთავრებულების ერთ-ერთ ძირითად დამსაქმებელს თავად შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული თელავის აეროპრტი წარმოადგენდა, რომელიც მთლიანად დაკომპლექტებული იყო დაწესებულების კურსდამთავრებულებით. ამასთან, კურსდამთავრებულები საქმდებოდნენ სხვადასხვა ავიაკომპანიებში, აეროპორტებში, შპს თბილავიამშენში და ტურისტულ სააგენტოებში.

12. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ინჟინერიის ბაკალავრი საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციაში
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0416
კრედიტების რაოდენობა:	240

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, კონსტანტინე სირბილაძემ.

ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ, **საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის საბაკალავრო პროგრამის** შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- სასწავლო პროგრამის კურიკულუმში აღწერილია სწავლების ფორმები და მეთოდები, რომლებიც რიგ სილაბუსებში გადატანილია შერჩევის გარეშე. სასურველია, თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მეტად დაკონკრეტდეს სწავლების ის ფორმები და მეთოდები, რომლებიც საჭიროა სასწავლო კურსის სწავლების კონკრეტული შედეგების მისაღწევად;
- როგორც საგანმანათლებლო პროგრამის ანალიზითა და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რიგი სწავლების ფორმები (მაგ. ლაბორატორიული სწავლების ფორმა, პრაქტიკული სწავლების ფორმა), რომლებიც რეალურად გამოიყენება პროგრამის განხორციელების დროს არ არს აღწერილი კურიკულუმში. აღნიშნული შენიშვნა გათვალისწინებული იქნა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ და შესაბამისი ცვლილებები შეტანილი იქნა პროგრამაში;
- მიზანშეწონილია, რომ კონსულტაციისათვის განკუთვნილი საათების რაოდენობა შეტანილი იქნას კრედიტების შესაბამისი საათების საერთო რაოდენობაში;
- სასურველია, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში გარდა მითითებული ერთი ძირითადი ლიტერატურის ელექტრონული ვერსიისა დაემატოს დამხმარე ლიტერატურის წყაროც;
- მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეიქმნას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება და სამსახურის მიერ განისაზღვროს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა საუნივერსიტეტო სისტემა, რომელიც უფრო მიზანმიმართულს გახდის განათლების ხარისხის შემდგომი ამაღლების მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებს.

სხდომის თავმჯდომარემ, საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პირველ რეკომენდაციას რიგ შემთხვევებში ეთანხმებოდა დაწესებულება. კერძოდ, სასწავლო კურსში „უმაღლესი მათემატიკა 1", „უმაღლესი მათემტიკა 2" და „უმაღლესი მათემატიკა 3", სწავლების მეთოდებიდან, აკადემიურ პერსონალთან შეთანხმებით, ამოღებულ იქნა შემთხვევის შესწავლა (Case study). რეკომენდაციასთან მიმართებით, რომელიც შეეხებოდა კონსულტაციის საათებს, განმარტა რომ დაწესებულება ვერ დაეთანხმებოდა მას, რადგან სტუდენტის დატვრთვა არ ითვალისწინებდა საკონსულტაციო საათებს. პროგრამით გათალისწინებულ რიგ სასწავლო კურსებში უკვე გათვალისწინებულ იქნა ახალი როგორც სავალდებულო, ისე დამხარე ლიტერატურა.

13. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ინჟინერიის მაგისტრი საჰაერო ტრანსპორტის ტექნიკურ ექსპლუატაციაში
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	041602
კრედიტების რაოდენობა:	120

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, კონსტანტინე სირბილაძემ.

ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ, **საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის სამაგისტრო პროგრამის** შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- გაიზარდოს არჩევითი დისციპლინების მოცულობა (პროგრამაში 6 კრედიტია არჩევითი), რაც უზრუნველყოფს კვლევითი თემატიკის არეალის გაფართოებას;
- გაიზარდოს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისათვის გამოყოფილი კრედიტების მოცულობა (პროგრამაში ამისათვის გამოყოფილია 24 კრედიტი), ისეთი სასწავლო კურსების მოცულობის შემცირების ხარჯზე, რომლებიც არ ემსახურება პროგრამის ძირითადი მიზნების მიღწევას. ეს, ჩვენი აზრით, უზრუნველყოფს კვლევის ხარისხის გაუმჯობესებას;
- სასწავლო პროგრამის კურიკულუმში აღწერილია სწავლების ფორმები და მეთოდები, რომლებიც ხშირად სილაბუსებში გადატანილია შერჩევის გარეშე. სასურველია, თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მეტად დაკონკრეტდეს სწავლების ის ფორმები და მეთოდები, რომლებიც საჭიროა სასწავლო კურსის სწავლების კონკრეტული შედეგების მისაღწევად;
- ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო გეგმაში არსებობს რიგი ზოგადი სასწავლო კურსი (მაგ. „რიცხვითი მეთოდები საავიაციო კონსტრუქციებში", „თერმოდინამიკა და თბოგადაცემა") და არ იყო განსაზღვრული რომელი დისციპლინის სწავლების წინაპირობას წარმოადგენს ეს სასწავლო კურსები. აკადემიური პერსონალსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ინტერვიუირების შემდეგ, აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის პროცესში, შეტანილი იქნა საგანმანათლებლო პროგრამაში შესაბამისი ცვლილებები;
- კონსულტაციისათვის განკუთვნილი საათების რაოდენობა არ არის ასახული კრედიტების შესაბამისი საათების საერთო რაოდენობაში;
- მიზანშეწონილია რიგ სასწავლო კურსების სილაბუსებში (მაგ. სანავიგაციო თანამგზავრული სისტემები) გარდა მითითებული ერთი ძირითადი ლიტერატურის ელექტრონული ვერსიისა დაემატოს დამხმარე ლიტერატურის წყაროც;

- მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეიქმნას აღნიშნული სამსახურის დებულება და სამსახურის მიერ განისაზღვროს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც უფრო მიზანმიმართულს გახდის განათლების ხარისხის შემდგომი ამაღლების მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებს.

სხდომის თავმჯდომარემ, საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ რეკომენდაციასთან მიმართებით განმარტა, რომ ზოგიერთ პროგრამაში კვლევითი კომპონენტის მოცულობა 12 კრედიტიც იყო, თუმცა დანარჩენი პროგრამებისათვის მოხდებოდა აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინება. მეორე რეკომენდაცია ვიზიტის პერიოდშივე იქნა გათვალისიწნებული. რაც შეეხებოდა საბიბლიოთეკო რესურსის გამდიდრებას, აღნიშნულ საკითხზეც მუშაობდა დაწესებულება.

14. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ხომალდების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	საჰაერო ხომალდების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური ექსპლუატაცია
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ინჟინერიის ბაკალავრი საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციაში
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0416
კრედიტების რაოდენობა:	240

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მანანა მოისწრაფიშვილმა.

ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ, **საჰაერო ხომალდების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის საბაკალავრო** პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- საბიბლიოთეკო რესურსი საჭიროებს შევსებას თანამდეროვე ქართულ ან/და უცხოენოვანი სახელმძღვანელოებით, რადგან რიგ სილაბუსებში ლიტერატურა წარმოდგენილია მხოლოდ სალექციო მასალების ელექტრონული ვერსიების სახით;
- მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაწესებულებაში შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალური მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც გაწერილ იქნება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები, ხარისხის კონტროლის კრიტერიუმები და მათი გამოყენების მეთოდოლოგია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება იზიარებდა ექსპერტთა მიერ დასკვნაში დაფიქსირებულ რეკომენდაციებს და უკვე მოხდა მათი გათვალისწინება.

15. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ხომალდების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	საჰაერო ხომალდების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური ექსპლუატაცია
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ინჟინერიის მაგისტრი საჰაერო ტრანსპორტის ტექნიკურ ექსპლუატაციაში
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	041602
კრედიტების რაოდენობა:	120

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მანანა მოისწრაფიშვილმა.

ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ, **საჰაერო ხომალდების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის სამაგისტრო პროგრამის** შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- სამაგისტრო პროგრამის ყველა სასწავლო კურსი შეისწავლება დაშვების წინაპირობების გარეშე; საჭიროა გადაიხედოს და იმ სასწავლო კურსებში, რომლებიც რეალურარად პროგრამის ფარგლებში საჭიროებენ დაშვების წინაპირობებს, გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერი, რაც უნდა აისახოს პროგრამაშიც;
- სასწავლო კურსებში ,,ადამიანის ფაქტორი ავიაციაში", ,,გარემოს დაცვის პრობლემები სამოქალაქო ავიაციაში, ,,საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების მართვა" სწავლების ფორმა პრაქტიკული მეცადინეობის ნაცვლად საჭიროებს სემინარს;
- საბიბლიოთეკო რესურსი საჭირეობს შევსებას თანამდეროვე ქართულენოვანი სახელმძღვანელოებით, რადგან რიგ სილაბუსებში ძირითადი ლიტერატურა წარმოდგენილია სალექციო მასალების ელექტრონული ვერსიების სახით (მაგ.: სანავიგაციო თანამგზავრული სისტემები), ან მხოლოდ ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოებით. ეს უკანასკნელი დასაშვებია, რადგან პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია B2 დონეზე ინგლისური ენის ფლობა, თუმცა სასურველია არსებობდეს ქართულენოვანი სახელმძღვანელოც.

სხდომის თავმჯდომარემ, საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ რეკომენდაციასთან მიმართებით განმარტა, რომ კორექტირებულ პროგრამაში იყო რიგი საგნები, რომელთა წინაპირობები იყო მითითებული. სასწავლო კურსში ,,ადამიანის ფაქტორი ავიაციაში" სწავლების ფორმად გამოყენებული იყო პრაქტიკული მეცადინეობა, რომელიც მოიცავდა დისკუსიას,

პრაქტიკული მაგალითების განხილვას განვლილი სალექციო მასალის მიხედვით და საკონტროლო სამუშაოებს. სასწავლო კურსში ,,გარემოს დაცვის პრობლემები სამოქალქო ავიაციაში'' - დისკუსია/დებატები, რეფერატზე მუშაობა და საკონტროლო სამუშაოები. რაც შეეხებოდა, სასწავლო კურსს ,,საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების მართვა'', პრაქტიკულ მეცადინეობებზე ყოველკვირეულად ტარდებოდა ტესტირება, რომელიც სპეციალური მეთოდოლოგიით იყო შემუშავებული და მოცემული იყო იმ სახელმძღვანელოში, რომელიც ძირითად ლიტერატურად გამოიყენებოდა.

16. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ფრენების უზრუნველყოფის მიწისზედა რადიოტექნიკური საშუალებების ტექნიკური ექსპლუატაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ფრენების უზრუნველყოფის მიწისზედა რადიოტექნიკური საშუალებების ტექნიკური ექსპლუატაცია
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ინჟინერიის ბაკალავრი საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციაში
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0416
კრედიტების რაოდენობა:	240

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ზურაბ ლომსაძემ.

ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ, **საჰაერო ხომალდების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის სამაგისტრო პროგრამის** შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- საჭიროა სასწავლო კურსში „საავიაციო ტექნიკის საფუძვლები“ სწავლების ფორმაში, პრაქტიკული მეცადინეობების ნაცვლად მიეთითოს სალექციო კურსი, ვინაიდან ფაქტობრივად სალექციო კურსთან გვაქვს საქმე. ამავე სილაბუსის სწავლის შედეგებში მითითებულია უნივერსიტეტის ისტორიისა და სტრუქტურის შესწავლა, ხოლო საგნის სილაბუსი მითითებულია როგორც სავალდებულო ლიტერატურა, რაც არ მიგვაჩნია მართებულად;
- საბიბლიოთეკო რესურსი საჭიროებს შევსებას თანამდეროვე ქართულ ან/და უცხოენოვანი სახელმძღვანელოებით, რადგან რიგ სილაბუსებში ლიტერატურა წარმოდგენილია მხოლოდ სალექციო მასალების ელექტრონული ვერსიების სახით;
- მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაწესებულებაში შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალური მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც გაწერილ იქნება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები, ხარისხის კონტროლის კრიტერიუმები და მათი გამოყენების მეთოდოლოგია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება იზიარებდა ექსპერტთა მიერ დასკვნაში დაფიქსირებულ რეკომენდაციებს და უკვე მოხდა მათი გათვალისწინება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ინიციატივით ექსპერტთა ჯგუფს, შპს საქართველოს საავიაცო უნივერსიტეტის საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო და სამაგსიტრო პროგრამების ერთად წარდგენის თაობაზე.

17. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	საჰაერო ტრანსპორტის მენეჯემნტი
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0203
კრედიტების რაოდენობა:	240

18. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	საჰაერო ტრანსპორტის მენეჯემნტი
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტში
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	020328
კრედიტების რაოდენობა:	120

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი ღაღანიძემ.

ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ, **საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის** შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- სასურველია გაიზარდოს პროგრამით გათვალისწინებული თავისუფალი კომპონენტების (დისციპლინების) მოცულობა, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს მოახდინონ თავისუფალი კრედიტების ფარგლებში გათვალისწინებული დისციპლინების ჩამონათვალიდან მათთვის სასურველი დისციპლინის არჩევა. აღნიშნული კიდევ უფრო გაზრდის სტუდენტების აკადემიური თავისუფლების ხარისხს და ხელს შეუწყოს მათი აკადემიური ინტერესების დაკმაყოფილებას;
- სასურველია სპეციალობის არჩევითი საგნების მოდულში წარმოდგენილი დისციპლინა ,,რისკ-მენეჯმენტი ბიზნესში" გადატანილი იქნეს სპეციალობის სავალდებული საგნების დისციპლინების მოდულში. ვინაიდან რისკ-მენეჯმენტი წარმოადგენს ბიზნესის ადმინისტრირების ერთ-ერთ წამყვან კურს სასურველია მისი სწავლება იყოს სავალდებულო პროგრამის სტუდენტებისათვის;
- იმისათვის, რომ სტუდენტებმა უკეთ აითვისონ აკადემიური წერის კულტურა, სასურველია პროგრამაში არსებულ ,,ქართული მეტყველების კულტურა"

დისციპლინასთან ინტეგრირებულად გათვალისწინებული იქნეს „აკადემიური წერის“ დისციპლინაც;

- სასურველია შეფასების სისტემაში ფინალური გამოცდის ჩაბარების მინიმალური ქულის შემდგომი დაზუსტება;
- სასურველია უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა დაიტვირთოს და დაიხვეწოს ფუნქციონალური თვალსაზრისით და მოხდეს მისი სრულყოფილად გამოყენება, რაც კიდევ უფრო გაზრდის სტუდენტის ინფორმირებულობის დონეს და ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესების ეფექტიანი ადმინისტრირების განხორციელებას. ამასთან ერთად მიზანშეწონილია სტუდენტის სურვილის შემთხვევაში მისი სწავლის შეფასებები დახურული იქნას და მათზე არ ქონდეთ თავისუფალი წვდომა სხვა სტუდენტებს.

საბჭოს წევრის, თამარ ზარანდიას განმარტებით, სტუდენტის შეფასებები წარმოადგენდა პერსონალურ ინფორმაციას და არ შეიძლებოდა მათი ხილვა ყველასთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო.

ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ, **საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის** შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია სასწავლო გეგმაში სავალდებულო და არჩევითი დისციპლინების დაზუსტება, კერძოდ არჩევითი მოდულის გაზრდა;
- სწავლების შედეგებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია გარკვეული დისციპლინების (საქმიანობის შედეგების მართვა) სავალდებულო ლიტერატურის დაზუსტება (აკადემიური ლიტერატურის მითითება);
- ცალკეულ კურსებში (აეროპორტების მარკეტინგი და მენეჯმენტი; ავიაკომპანიების მარკეტინგი და მენეჯმენტი) მიზანშეწონილია უახლესი სამეცნიერო პუბლიკაციების ჩართვა;
- პროგრამის მოწვეული პერსონალის შემთხვევაში მიზანშეწონილია პრაქტიკული გამოცდილებისა და წასაკითხი დისციპლინების უფრო ზუსტი შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- მოქმედი წესის თანახმად სტუდენტს დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ ის 40 ქულიდან მიიღებს 11 ქულას. ექსპერტთა აზრით უმჯობესია თუ ეს ზღვარი გაიზრდება 20 ქულამდე.

სხდომის თავმჯდომარემ, საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ნაყოფიერი მუშაობის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციებისათვის და საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით განმარტა, რომ თავისუფალი კომპონენტების მოცულობის გაზრდა იგეგმებოდა ახლი სასწავლო წლის დაწყებისთანავე. დაწესებულება ეთანხმებოდა ასევე ექსპერტთა მეორე რეკომენდაციასაც. პროგრამაში გათვალისიწინებულ იქნა ახალი სასწავლო კურსი „აკადემიური წერის საფუძვლები". ფინალური გამოცდის ჩაბარების მინიმალური ქულასთან

მიმართებით აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხზე ჯერ არ მომხდარა ერთიანი პოზიციის შემუშავება. რაც შეეხებოდა, სტუდენტთა შეფასების კონფიდენციალურობის საკითხს, დაწესებულება ითვალისიწინებდა აღნიშნულ რეკომენდაციას და მოხდებოდა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის დახვეწა.

სამაგისტრო პროგრამის მიმართ შემუშავებულ რეკომენდაციებთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელემა განმარტა, რომ დაწესებულება ეთანხმებოდა ყველა რეკომენდაციას და ნაწილი მათგანის გათვალისიწინება უკვენ მოხდა. ლიტერატურა გამდიდრდა თანამედროვე სამეცნიერო პუბლიკაციებით. გარკვეულ დისციპლინებში დაზუსტდა სავალდებულო ლიტერატურა და მიეთითა სილაბუსების ავტორები.

საბჭოს წევრის, თამარ ზარანდიას თქმით, ბიზნესის სამართლის სილაბუსი საჭიროებდა ლიტერატურის გამრავალფეროვნებას.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულება იზიარებდა საბჭოს წევრის რეკომენდაციას და მოხდებოდა ბიზნესის სამართლის სილაბუსში მოცემული ლიტერატურის გამდიდრება.

19. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საბუღალტრო აღრიცხვის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	საბუღალტრო აღრიცხვა
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი საბუღალტრო აღრიცხვაში
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0201
კრედიტების რაოდენობა:	240

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი ღაღანიძემ.

ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ, **საბუღალტრო აღრიცხვის საბაკალავრო პროგრამის** შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილად მიგვაჩნია საგნები: სამოქალაქო ავიაციის ეკონომიკა, ავიასაწარმოთა ეკონომიკური ანალიზი, ფასწარმოქმნა, საჯარო ფინანსები, ფინანსების თეორია, პროექტების მენეჯმენტი გადავიდეს არჩევით კომპონენტში;
- მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროგრამას დაემატოს კურსები „სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები“ , „ოპერაციათა მენეჯმენტი“;
- მიზანშეწონილად მიგვაჩნია კურსი მმართველობითი აღრიცხვა გახდეს უფრო მრავალფეროვანი, და დანახარჯთა აღრიცხვის საკითხებთან ერთად მოიცვას საწარმოს ფინანსური კოეფიციენტების ანალიზთან და ბიუჯეტირებასთან დაკავშირებული საკითხებიც;
- მოქმედი წესის თანახმად სტუდენტს დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ ის 40 ქულიდან მიიღებს 6 ქულას. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ეს ზღვარი გაიზარდოს 20 ქულამდე.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულება იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ პირველ სამ რეკომენდაციას და ნაწილი მათგანის გათვალისწინება უკვე მოხდა. ხოლო, რაც შეეხებოდა დასკვნითი გამოცდის გადამლახავ ქულას, აღნიშნულზე ჯერ შეჯერებული პოზიცია არ ჰქონდათ დაწესებულების წარმომადგენლებს.

სხდომის თავმჯდომარე, მაგდა მაღრაძე დაინტერესდა, თუ რით განსხვავდებოდა დაწესებულების მიერ შემოთავაზებული საბუღალტრო აღრიცხვის საბაკალავრო პროგრამა სხვა დაწესებულებების მიერ შემოთავაზებული ამავე სახელწოდების საგანმანათლებლო პროგრამისაგან.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, შპს საქართველოს საავიაცო უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულ საბუღალტრო აღრიცხვის საბაკალავრო პროგრამაზე იკითხებოდა ავიაციის სფეროსთან დაკავშირებული სფეციფიკური სასწავლო კურსები.

20. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ფინანსური აღრიცხვისა და კონტროლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ფინანსური აღრიცხვა და კონტროლი
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსურ აღრიცხვასა და კონტროლში
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	020101
კრედიტების რაოდენობა:	120

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი ღაღანიძემ.

ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ, **ფინანსური აღრიცხვისა და კონტროლის სამაგისტრო პროგრამის** შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- ვინაიდან პროგრამით გათვალისწინებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ფინანსურ აღრიცხვასა და კონტროლში მინიჭება, სასურველი იყო პროგრამით დამატებით შეეთავაზებინათ მარკეტინგის მიმართულების რამდენიმე ძირითადი სასწავლო კურსი, მაგ. (მარკეტინგული კვლევა, გაყიდვების მენეჯმენტი, სარეკლამო სტრატეგიები და ა.შ.);
- პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს არჩევით კურსებს (6 კრედიტის მოცულობით შეთავაზებულია სამი სასწავლო კურსი), მაგრამ უკეთესი იქნებოდა, თუ პროგრამით შეთავაზებული იქნებოდა მეტი თავისუფალი კრედიტები და არჩევითი სასწავლო კურსების უფრო ფართო სპექტრი;
- ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა „ავიასაწარმოების პრაქტიკული ეკონომიკა", „ავიაკომპანიების ფინანსები", „ავიასაწარმოების ფინანსური ანალიზი" უმჯობესია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტებიდან გადატანილ იქნას არჩევით კომპონენტებში;
- მოქმედი წესის თანახმად სტუდენტს დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ ის 40 ქულიდან მიიღებს 11 ქულას. ექსპერტთა აზრით უმჯობესია თუ ეს ზღვარი გაიზრდება 20 ქულამდე.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულება იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციების ნაწილს. კერძოდ, პროგრამაშის სტუდენტებისათვის მოხდებოდა მარკეტინგის მიმართულების სასწავლო კურსების შეთავაზება. მესამე რეკომენდაციაში დაფიქსირებული სასწავლო კურსების გადატანას სავალდებულო სასწავლო კომპონენტებიდან არჩევით კომპონენტებში, არ გეგმავდა დაწესებულება, გამომდინარე საავიაციო სფეროს სპეციფიკურობდან.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებისა და დაწესებულების წარმომადგენლების მიმართ. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

21. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საფრენი აპარატების დაპროექტებისა და წარმობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	საფრენი აპარატების დაპროექტება და წარმობა
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ინჟინერიის მაგისტრი საფრენი აპარატების კონსტრუირებასა და წარმოებაში
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	040804
კრედიტების რაოდენობა:	120

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თეიმურაზ კოჩაძემ.

ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ, **საფრენი აპარატების დაპროექტებისა და წარმობის სამაგისტრო პროგრამის** შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სილაბუსებში (მაგ. სანავიგაციო თანამგზავრული სისტემები; საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების მართვა) გარდა მითითებული ერთი ძირითადი ლიტერატურის ელექტრონული ვერსიისა დაემატოს დამხმარე ლიტერატურის წყაროც;
- პროგრამის შემდგომი განვითარების პროცესში სასურველია პროფესიული პრაქტიკისათვის განსაზღვრული 6 კრედიტი გამოიყოს ზოგადი და სპეციალობის სავალდებულო–არჩევითი კომპონენტების ხარჯზე, ხოლო სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისათვის კრედიტების რაოდენობა გაიზარდოს 30 – მდე.

დაწესებულების წარმომადგენლემა განმარტა, რომ აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებდა უკვე მოხდა დაწესებულების მიერ.

სხდომის თავმჯდომარე, მაგდა მაღრაძე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა საქართველოს თვითმფრინავების დაპროექტების პოტენციალი.

დაწესებულების წარმომადგელის განმარტებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საქართველოს საავიაციო ქარხანაში დაპროექტეული იყო, 10-15 სამხედრო საფრენი აპარატი. დღეს კი ხდებოდა მცირე გაბარიტიანი სამოქალაქო საფრენი აპარატების დაპროექტება.

22. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საფრენი აპარატების დაპროექტების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	საფრენი აპარატების დაპროექტება
განათლების საფეხური:	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ინჟინერიის დოქტორი მექანიკის ინჟინერიასა და ტექნოლოგიაში
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0408
კრედიტების რაოდენობა:	180

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თეიმურაზ კოჩაძემ.

ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ, **საფრენი აპარატების დაპროექტების სადოქტორო პროგრამის** შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- ზოგიერთი კომპონენტის სილაბუსი (მაგალითად: პროფესორის ასისტენტობა; თემატური სემინარი) შედგენილია განსხვავებული ფორმით და მასში შეუძლებელია დადგინდეს თუ რომელი პროგრამის კუთვნილებაა და რომელ სემესტრში უნდა იყოს შესწავლილი;
- სილაბუსში გაწერილია სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები. სასურველია უფრო ნათლად აღიწეროს ნაშრომის შუალედური შეფასებების ფორმები და მეთოდები.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ორივე რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა დაწესებულების მიერ. მან საბჭოს წევრებს წარუდგინა აღნიშნული კომპონენტების შესაბამისი სილაბუსები.

23. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია
განათლების საფეხური:	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ინჟინერიის დოქტორი საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციაში
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0416
კრედიტების რაოდენობა:	180

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, კონსტანტინე სირბილაძემ.

ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ, **საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციის სადოქტორო პროგრამის** შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- ზოგიერთი კომპონენტის სილაბუსი (მაგალითად: პროფესორის ასასტენტობა; თემატური სემინარი) შედგენილია განსხვავებული ფორმით და მასში შეუძლებელია დადგინდეს თუ რომელი პროგრამის კუთვნილებაა და რომელ სემესტრში უნდა იყოს შესწავლილი;
- მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ასევე კვლევითი კომპონენტის მოცულობის გაზრდა, ზოგადი სავალდებულო დისციპლინების მოცულობის შემცირების ხარჯზე;
- კონსულტაციისათვის განკუთვნილი საათების რაოდენობა არ არის ასახული კრედიტების შესაბამისი საათების საერთო რაოდენობაში;
- მიზანშეწონილია რიგ სასწავლო კურსების სილაბუსებში გაიზარდოს გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა;
- მიზანშეწონილად მიგვაჩნია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შემდგომი გაძლიერება. ამჟამად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საქმიანობას ახორციელებს უნივერსიტეტის დებულებით განსაზღვრული ფუნქციების მიხედვით. მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეიქმნას აღნიშნული სამსახურის დებულება და სამსახურის მიერ განისაზღვროს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც უფრო მიზანმიმართულს გახდის განათლების ხარისხის შემდგომი ამაღლების მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებს.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, რიგ სასწავლო კურსების სილაბუსებში გაიზარდა გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა. სადოქტორო პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებული იყო სამი კოლოქვიუმი, რომელიც სადოქტორო თემის თავს მოიცავდა და მათი მოცულობა თითეულ სემესტრში სრულად ეთმობოდა სადისერტაციო ნაშრომის დახეწასა და დაცვას, მოცულობით 30 კრედიტი, რაც დაწესებულების აზრით არ იყო ცოტა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებისა და დაწესებულების წარმომადგენლების მიმართ. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები:

- შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ფრენის მართვის ავტომატიზებული სისტემების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი -0);
- შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ფრენის მართვის ავტომატიზებული სისტემების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცი (მომხრე - 5; წინააღმდეგი -0);
- შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (კომერციული პილოტი) საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი -0);
- შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი -0);
- შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი -0);
- შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ხომალდების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი -0);
- შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ხომალდების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი -0);
- შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ფრენების უზრუნველყოფის მიწისზედა რადიოტექნიკური საშუალებების ტექნიკური ექსპლუატაციის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი -0);
- შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საფრენი აპარატების დაპროექტებისა და წარმობის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი -0);
- შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საფრენი აპარატების დაპროექტების სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი -0);
- შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციის სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი -0);
- შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭააკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი -0);

- შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი -0);
- შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საბუღალტრო აღრიცხვის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი -0);
- შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ფინანსური აღრიცხვისა და კონტროლის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი -0).

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, სხდომა დასრულდა 15:40 საათზე.

თავმჯდომარე
მაგდა მაღრაძე

მდივანი
ნინო დავლაშერიძე